რეგლამენტი

1.შეჯიბრის ტიპი:
საქართველოს ჩემპიონატი, დისციპლინა ენდურო ბავშვები/მოზარდები
ეტაპი IV
პრომოუტერი: ა(ა)იპ ენდურო ქლაბ ჯორჯია
ლოკაცია: თბილისი, რიყის პარკის მიმდებარედ
თარიღი: 04.10.2026
შეჯიბრი ტარდება თბილისის ავტო/მოტო ფესტივალი 2026-ის ფარგლებში

1.1 შეჯიბრი ტარდება არასაერთო მოხმარების გზაზე, რომელიც სპეციალურად მოწყობილია შეჯიბრისთვის. საშეჯიბრო გზა მოიცავს დაახლოებით 500 მ-იან ადვილი სირთულის რელიეფს ხელოვნური დაბრკოლებებით, რაც მიმართულია როგორც მოტოციკლების სანდოობის, ასევე მრბოლელების უნარჩვევების შემოწმებაზე.
ნებისმიერი სირთულე, რომელიც წინასწარ არ იყო გათვალისწინებული, მიიჩნევა როგორც შეჯიბრის ნაწილი და მსგავსი მიზეზით საჩივარი არ მიიღება.
საშეჯიბრო გზა უნდა იყოს განვლადი ნებისმიერი ამინდის პირობებში და შესაფერისი ბავშვების და მოზარდების კატეგორიის მრბოლელისთვის.

2. დისციპლინა ენდურო ბავშვები კლასები:

2.1 კლასი: EK 50cc
მოტოციკლი: 2T 50cc-მდე, 4T 100cc-მდე
საბურავი (მაქსიმალური ზომა): წინა- 12”
უკანა 10”
ასაკი: 5-8 წელი

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომელთა ასაკი 2026 წლის საქართველოს ჩემპიონატის ნებისმიერ ეტაპზე არის მინიმუმ 5 წელი და მაქსიმუმ 9 წელი (ამასთან სპორტსმენის დაბადების თარიღი არ უნდა იყოს 2017 წელზე ნაკლები). იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს 2026 წლის სეზონის განმავლობაში უსრულდება 9 წელი, მშობელს/მეურვეს აქვს უფლება გააკეთოს არჩევანი კლას- EK 50cc და EY 65cc-85cc შორის. ამასთან მოტოციკლის მონაცემები უნდა ესადაგებოდეს შერჩეულ კლასში მოთხოვნილ მონაცემებს.

2.2 კლასი: EY 65cc-85cc
მოტოციკლი: 2T 65cc-85cc, 4T 100cc-200cc
საბურავი (მაქსიმალური ზომა): წინა- 19”
უკანა 17”
ბავშვები: 9-13 წელი.

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომელთა ასაკი 2026 წლის საქართველოს ჩემპიონატის ნებისმიერ ეტაპზე არის მინიმუმ 8 წელი (მაგრამ 2026 წლის სეზონის განმავლობაში მონაწილეს შეუსრულდება 9 წელი) და მაქსიმუმ 14 წელი. (ამასთან სპორტსმენის დაბადების თარიღი არ უნდა იყოს 2012 წელზე ნაკლები). იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს 2026 წლის სეზონის განმავლობაში უსრულდება 14 წელი, მშობელს/მეურვეს აქვს უფლება გააკეთოს არჩევანი კლას- EY 65cc-85cc და EY/1 125cc-150cc შორის. ამასთან მოტოციკლის მონაცემები უნდა ესადაგებოდეს შერჩეულ კლასში მოთხოვნილ მონაცემებს.

2.3 კლასი: EY/1 85cc-125cc
მოტოციკლი: 2T 85cc-125cc, 4T მაქსიმალური 250cc
საბურავი (მაქსიმალური ზომა): წინა- არ არის შეზღუდული
უკანა- არ არის შეზღუდული

ბავშვები: 14-17 წელი
შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომელთა ასაკი 2026 წლის საქართველოს ჩემპიონატის ნებისმიერ ეტაპზე არის მინიმუმ 13 წელი (მაგრამ 2026 წლის სეზონის განმავლობაში მონაწილეს შეუსრულდება 14 წელი) და მაქსიმუმ 17 წელი (ამასთან სპორტსმენის დაბადების თარიღი არ უნდა იყოს 2009 წელზე ნაკლები). იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს 2026 წლის სეზონის განმავლობაში უსრულდება 18 წელი სპორტსმენი ვერ შეძლებს მონაწილეობას დისციპლინა ენდურო მოზარდი კლასში, მას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს დისციპლინა ენდურო ზრდასრული ნებისმიერ კლასში
შენიშვნა: 15 წელს ზემოთ მრბოლელებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დისციპლინა ენდურო ზრდასრული ნებისმიერ კლასში მშობლის/მეურვის თანხმობის შემთხვევაში.

2.4 შეჯიბრში მონაწილეთა შეფასება მოხდება ქულათა სისტემით, წლის განმავლობაში დაგროვილი ქულების ჯამი განსაზღვრავს 2026 წლის საქართველოს ჩემპიონს კლასების მიხედვით. ქულებით შეფასება მოხდება ყველა კლასში ცალკ-ცალკე. ჩემპიონატის მსვლელობის დროს კლასის შეცვლის შემთხვევაში, არ მოხდება სხვადასხვა კლასში დაგროვილი ქულების დაჯამება. მონაწილეს აქვს უფლება შემოუერთდეს საქართველოს ჩემპიონატს ნებისმიერ ეტაპზე შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაში.

ადგილი	ქულა	ადგილი	ქულა	ადგილი	ქულა
1	20	6	10	11	5
2	17	7	9	12	4
3	15	8	8	13	3
4	13	9	7	14	2
5	11	10	6	15	1

2.5 კლასი ჩაითვლება შემდგარად თუ მასში რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს მინიმუმ 3(სამ) სპორტსმენს.
იმ შემთხვევაში, თუ კლასში დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა არის 3-ზე ნაკლები, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას გააუქმოს აღნიშნული კლასი ან გააერთიანოს იგი სხვა, შესაბამის კლასთან. გაერთიანების შემთხვევაში მონაწილეები შეფასდებიან ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3. საშეჯიბრო წესები

3.1 შეჯიბრი წარმოდგენილია სამი 10 წუთიანი გარბენით, მონაწილეები სტარტს აიღებენ ერთად, სასტარტო ადგილებზე მონაწილეების განლაგება მოხდება რეგისტრაციის მიხედვით. მონაწილეებმა საშეჯიბრო ტრეკზე უნდა იარონ 10 წთ-ის განმავლობაში, გარბენის გამარჯვებული იქნება ის მონაწილე, რომელსაც 10წთ-ის განმავლობაში ყველაზე მეტი წრეების რაოდენობა დაუფიქსირდება. ყველა მონაწილეს მიენიჭება შესაბამისი ქულები, რაც ასევე განსაზღვრავს მომდევნო გარბენის სასტარტო ადგილებს. გამარჯვებული შესაბამის კატეგორიაში გამოვლინდება სამივე გარბენის შედეგად ჯამურად დაგროვებული ქულების მიხედვით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ მონაწილეები დააფიქსირებენ წრეების ერთი და იგივე რაოდენობას, პრიორიტეტი მიენიჭება მონაწილეს რომელმაც პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.
იმ შემთხვევაში თუ ორ ან მეტ მრბოლელს შორის დაფიქსირდება ერთი და იგივე ჯამური ქულა უპირატესობა მიენიჭება მრბოლელს, რომელსაც აქვს დაფიქსირებული უკეთესი პოზიცია მიმდინარე დღის გარბენებში.
იმ შემთხვევაში თუ წლის ჭრილში ორ ან მეტ მრბოლელს დაუფიქსირდა ერთი და იგივე ჯამური ქულა, უპირატესობა მიენიჭება მრბოლელს, რომელსაც ბოლო ეტაპზე ექნება უკეთესი შედეგი.

4.ჯარიმა/დისკვალიფიკაცია

4.1 დადგენილ დროს სტარტზე დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ეკრძალება სტარტის აღება იმ კონკრეტულ გარბენზე.
სტარტზე ასევე მოხდება სპორტსმენების ეკიპირების შემოწმება.

შენიშვნა: შეჯიბრის განმავლობაში მოტოციკლით გადაადგილების დროს სპორტსმენი ვალდებულია ჩაფხუტის ღვედი ჰქონდეს შეკრული. გახსნილი ღვედის დაფიქსირების შემთხვევაში ოფიციალური პირი ვალდებულია მონაწილე განმარტებების გარეშე ავტომატურად გამოთიშოს შეჯიბრს და ზემოთხსენებული აცნობოს შეჯიბრის დირექტორს.

4.2 შეჯიბრის მსვლელობის დროს მონაწილე ვალდებულია დაემორჩილოს ოფიციალური პირების მოთხოვნებს:
აწეული ყვითელი დროშა: გაფრთხილება, მონაწილე ვალდებულია გადაადგილდეს სიფრთხილით, აკრძალულია ტრამპლინზე გადახტომა.
აწეული წითელი დროშა: უკიდურესი შემთხვევა, მონაწილე ვალდებულია გააჩეროს ტრანსპორტი და დაელოდოს მსაჯის შემდგომ მითითებას.
არსებული წესების დარღვევა გამოიწვევს მონაწილის დისკვალიფიკაციას.
4.3 მონაწილე ვალდებულია საშეჯიბრო გზაზე გადაადგილდეს წინასწარ მონიშნული ტრაექტორიით. ტრაექტორიიდან გასვლა, საშეჯიბრო გზის მიზანმიმართულად ავლა განისაზღვრება დისკვალიფიკაციით. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს იძულებით მოუწია მონიშნული ტრაექტორიიდან გასვლა, იგი ვალდებულია საშეჯიბრო გზაზე დაბრუნდეს გასვლის ადგილიდან.
4.4 სასტიკად აკრძალულია მოტოციკლებით გადაადგილება სპეციალურად მოწყობილი საშეჯიბრო გზის/საშეჯიბრო გზასა და მოტოპარკს შორის ტერიტორიის გარდა სხვა ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება დამრღვევი პირის დისკვალიფიკაცია.
4.5 მონაწილეს უფლება აქვს შეჯიბრის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში წერილობითი ფორმით აცნობოს სადაო საკითხი ოფიციალურ პირებს. ოფიციალური პირი ვალდებულია განიხილოს სადაო საკითხი 10 სამუშაო დღის განმავლობაში სამსაჯო კომისიასა და შეჯიბრის დირექტორთან ერთად.
4.6 მონაწილეს ეკრძალება: არაფხიზელ მდგომარეობაში შეჯიბრში მონაწილეობის მიღება. განსაზღვრულია ეტაპზე დისკვალიფიკაცია
4.7 მონაწილეს/მონაწილის გუნდის წარმომადგენელს (მათ შორის მშობელს, მეურვეს) ეკრძალება: სხვისი მოტოტრანსპორტის შეხება/მასზე მანიპულირება მესაკუთრის ნებართვის გარეშე. განსაზღვრულია ეტაპზე დისკვალიფიკაცია

4.8 მონაწილეს/მონაწილის გუნდის წარმომადგენელს (მათ შორის მშობელს, მეურვეს) ეკრძალება: არასპორტული საქციელი, რაც გამოიხატება შემდეგში: უცენზურო სიტყვების ხმარება, ტერიტორიის დანაგვიანება, გამიზნულად მოწინააღმდეგის დაზიანება ან შეყოვნება, თვითნებურად საშეჯიბრო გზაზე გასვლა, ოფიციალურ პირებთან შელაპარაკება და დაუმორჩილებლობა, წინასწარ დადგენილი წესების მიზანმიმართულად დარღვევა. განსაზღვრულია ჩემპიონატზე დისკვალიფიკაცია.

4.9 შეჯიბრის დასრულებისთანავე მონაწილე ვალდებულია ოფიციალურ პირს დაუბრუნოს ფედერაციის საკუთრებაში არსებული დროის ათვლის სისტემის მოწყობილობა „ტრანსპონდერი“ მოწყობილობის დაზიანების, დაკარგვის ან არ დაბრუნების შემთხვევაში მონაწილე დაჯარიმდება 300 ევროს (ექვივალენტი ლარში) ოდენობით
4.10 შეჯიბრის ყველა გამარჯვებული ვალდებულია დაესწროს დაჯილდოების ცერემონიალს, პრომოუტერის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, ცერემონიალზე არ დასწრება გამოიწვევს მონაწილის შედეგის ანულირებას. მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებსა და საპატიო მიზეზის შემთხვევაში არ მოხდება მონაწილის შედეგის ანულირება.

5.მოტოტრანსპორტის კლასიფიკაცია.

5.1 შეჯიბრიში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ტიპის ენდურო და კროსის მოტოციკლს.
ძრავის მოცულობა:

კლასი: EK 50cc
მოტოციკლი: 2T 50cc-მდე, 4T 100cc-მდე
საბურავი (მაქსიმალური ზომა): წინა- 12”
უკანა 10”

კლასი: EY 65cc-85cc
მოტოციკლი: 2T 65cc-85cc, 4T 100cc-200cc
საბურავი (მაქსიმალური ზომა): წინა- 19”
უკანა 17”

კლასი: EY/1 85cc-125cc
მოტოციკლი: 2T 85cc-125cc, 4T მაქსიმალური 250cc
საბურავი (მაქსიმალური ზომა): წინა- არ არის შეზღუდული
უკანა- არ არის შეზღუდული

6. უსაფრთხოება

6.1 შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენი ვალდებულია აღჭურვილი იყოს შემდეგი ეკიპირებით:
მოტობოტი-აუცილებელი, სათვალე-აუცილებელი, ჩაფხუტი-აუცილებელი, ხელთათმანი-აუცილებელი, გულმკერდის დამცავი-აუცილებელი, სამუხლე-აუცილებელი, საიდაყვე-აუცილებელი
6.2 თითოეული მონაწილე აცნობიერებს შეჯიბრთან დაკავშირებულ რისკებს და პასუხისმგებელია როგორც პირად, ასევე სხვა მონაწილის და მაყურებლის უსაფრთხოებაზე.

6.3 მაყურებელი ვალდებულია შეჯიბრის მსვლელობის დროს არ გადაკვეთოს მათთვის გამოყოფილი ტერიტორია და უპასუხისმგებლო ქმედებით საფრთხე არ შეუქმნას პირად და სხვის ჯანმრთელობას, ასევე სხვის მატერიალურ ქონებას.

6.4 ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის დარღვევის შემთხვევაში, ორგანიზატორები თავისუფლდებიან სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

7. პრომოუტერის/ორგანიზატორის ვალდებულებები.

7.1 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია: მოახდინოს შეჯიბრის მართებული დაგეგმარება, შესაბამისი გარემოფაქტორების გათვალისწინებით, უშუალო კოორდინირება გაწიოს შეჯიბრის მოსამზადებელ სამუშაოებსა და შეჯიბრის მსვლელობის დროს.
7.2 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია: მონაწილეებს წინასწარ აცნობოს შეჯიბრთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია და რისკფაქტორები.
7.3 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია: შეჯიბრისთვის გამოყოს ოფიციალური პირების განსაზღვრული რაოდენობა და უზრუნველყოს ობიექტური მსაჯობა.
7.4 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია: მაყურებლისათვის წინასწარ განსაზღვროს და გამოყოს ადგილი/ები.
7.5 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია შეჯიბრის (ეტაპის) დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღისა გამოაქვეყნოს შეჯიბრის (ეტაპის) შედეგები.

8. მონაწილეების ვალდებულებები

8.1 მონაწილე ვალდებულია: გაიაროს საშეჯიბრო რეგისტრაცია პრომოუტერის/ორგანიზატორის მიერ წინასწარ დადგენილი წესით, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები რეგისტრაციისთვის: სრულწლოვანების შემთხვევაში: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მიერ გაცემული - ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ლიცენზია.
არასრულწლოვანების შემთხვევაში: მშობელი/მეურვე ვალდებულია განახორციელოს არასრულწლოვანის რეგისტრაცია. წარმოადგინოს დაბადების მოწმობის ასლი, მშობლის/მეურვის პირადობის მოწმობის ასლი და საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მიერ გაცემული - ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ლიცენზია.
8.2 მონაწილე ვალდებულია: დაესწროს ორგანიზატორების მიერ ორგანიზებულ ბრიფინგს, რომლის დრო და ადგილი წინასწარ იქნება განსაზღვრული ორგანიზატორების მიერ. მონაწილის ბრიფინგზე გამოცხადება დადასტურდება მისი ხელმოწერით.
არასრულწლოვანი მონაწილე ვალდებულია ბრიფინგზე გამოცხადდეს მშობელთან/მეურვესთან ერთად, რაც დადასტურებულ იქნება მშობლის/მეურვის ხელმოწერით.
ბრიფინგზე იქნება მიწოდებული ინფორმაცია შეჯიბრთან და ზოგად რისკებთან დაკავშირებით, ბრიფინგზე არ დასწრება გამოიწვევს მონაწილის დისკვალიფიკაციას.

8.3 მონაწილე ვალდებულია: შეჯიბრის დაწყებამდე 1 საათით ადრე გამოცხადდეს სასტარტო ბანაკთან,გააჩეროს მოტოციკლი წინასწარ მოწყობილ მოტოპარკში და გაიაროს რეგისტრაცია მოტოპარკის პასუხისმგებელ პირთან ,რის შედეგადაც პასუხისმგებელი პირი მიუთითებს სპორტსმენს მისი მოტოციკლის განთავსების ადგილს.

8.4 მონაწილე ვალდებულია: უსიტყვოდ დაემორჩილოს ოფიციალური პირების მითითებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მონაწილის დისკვალიფიკაცია.

9. ლიცენზირება/შეჯიბრზე რეგისტრაცია

9.1 საქართველოს ჩემპიონატი ენდურო ბავშვები/მოზარდები, თითეული მონაწილე ვალდებულია ჩემპიონატის ყველა ეტაპისთვის ქონდეს საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ერთჯერადი ან წლიური ლიცენზია. ერთჯერადი ლიცენზიის აღება აუცილებელია ყოველი ეტაპის წინ ღონისძიებაზე რეგისტრაციის დროს, წლიური ლიცენზიით შესაძლებელია საქრთველოს ჩემპიონატის სამივე ეტაპში მონაწილეობა. სალიცენზიო რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია www.motofederation.ge
9.2 შეჯიბრზე რეგისტრაცია არის უფასო. საქართველოს ჩემპიონატის თითეულ ეტაპზე რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.motofederation.ge
9.3 რეგისტრაცია დაიწყება ორგანიზატორების მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს. მონაწილე ვალდებულია დროულად გაიაროს რეგისტრაცია, რის შედეგადაც მიიღებს საშეჯიბრო ნომერს. რეგისტრაციისთვის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია იხ.პუნქტი **8.1**

10. რეკომენდაციები

10.1 მონაწილეებისათვის რეკომენდირებულია, გარდა აუცილებელი ეკიპირებისა აღჭურვილნი იქნან სხვა სპეციალური დამცავებით.

10.2 გამომდინარე საშეჯიბრო გზიდან,რაც მოითხოვს შეჯიბრის მსვლელობის დროს სპორტსმენის სრულ ფიზიკურ დატვირთვას, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ განსაზღვროს პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და იმოქმედოს შესაბამისად მისი ფიზიკური მონაცემებისა.

10.3 გამომდინარე საშეჯიბრო გზიდან, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ მოამზადოს თავისი მოტოციკლი და დარწმუნდეს მის ტექნიკურ გამართულობაში.

11. დაჯილდოება

11.1 ეტაპის დაჯილდოება მოხდება შეჯიბრის დასრულების შემდეგ, სამსაჯო კორპუსის მიერ შედეგების გამოქვეყნებისთანავე.

11.2 გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან თასებით (პირველი ადგილები) , მედლებით და სასაჩუქრე ვაუჩერებით (ყველა გამარჯვებული).